უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა

შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

6 მარტი, 2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ეკა

გვარი: ლეკაშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ეკონომიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა, მესამე საფეხური
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VIII დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0311 ეკონომიკა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	50
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N 25
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, საგანმაათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება N 1261876

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 24 ნოემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი (2022 წლის 24 ნოემბრამდე)
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 24 ნოემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. გადასასინჯია სასწავლო კურსის ,,სწავლის მეთოდები“ ძირითადი ლიტერატურა, სადაც წარმოდგენილია მაგალითად ,,მოდულური პროფესიული პროგრამების გზამკვლევი“;
2. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში სახელწოდება, შინაარსი და სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან, სწავლების საფეხურთან და დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურა (მაგ. მეცნიერების მენეჯმენტი, აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები);
3. რეკომენდირებულია დოქტორანტმა მინიმუმ ერთი სტატია გამოაქვეყნოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus და Web of Science) ინდექსირებულ ჟურნალში;
4. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის სრულად/სრულფასოვნად უზრუნველსაყოფად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

წარმოდგენილი რეკომენდაციებიდან შესრულდა პირველი რეკომენდაცია; მეორე და მესამე რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა. მეოთხე რეკომენდაციის შესრულების შეფასება წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეუძლებელია, თუმცა პროგრამის აკრედიტაციის დასკვნაში მოცემული ინფორმაციიდან თუ ვიმსჯელებთ, უნივერსიტეტში შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების პრობლემატურობის საკითხი არ დამდგარა. ამასთან, პროგრამა აკრედიტებულია და შესაბამისად, შეფასებით, რეკომენდაცია შესრულდა.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია სადოქტორო პროგრამამ შეიმუშავოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
2. პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია, დამუშავდეს ისეთი არჩევითი კურსები, როგორებიცაა ,,მაკროეკონომიკა“, ,,მიკროეკონომიკა“, ,,განვითარების ეკონომიკა“ და ა.შ. გაღრმავებული დონეები და შეთავაზებულ იქნას არჩევითი კურსების სახით;
3. უნივერსიტეტმა, სასურველია, უფრო მეტად იზრუნოს და ეფექტიანი გახადოს სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში სწავლების ადრეულ საფეხურებზე, რაც ხელმძღვანელთან ერთად სამეცნიერო პროდუქტის შექმნის გზით არის შესაძლებელი;

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

4. სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მოწვევა შესაძლებელი იყოს უცხოური უნივერსიტეტებიდანაც, რაც გააძლიერებს უსდ-ს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებას;
5. სასურველია, საერთაშორისო მიმართულებებით მუშაობის გააქტიურება, მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში;
6. სასურველია, წიგნადი ფონდის გამდიდრება უახლესი სამეცნიერო გამოცემებით, განსაკუთრებით სწავლების მეთოდოლოგიისა და კვლევების მიმართულებებით;
7. სასურველია, უსდ-მ პროგრამის ფარგლებში გააძლიეროს ფონდების მოძიება მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტებიდან;
8. სასურველია, გაიზარდოს უსდ-ს შიდა სამეცნიერო გრანტების მოცულობა;
9. სასურველია, პროგრამის განვითარებაში უნივერსიტეტმა ჩართოს მეტი უცხოელი ექსპერტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

ჩამოთვლილი რჩევებიდან დაწესებულებას არ წარმოუდეგნია ინფორმაცია მათი გათვალისწინების შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება	1.საგანამანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია II[12]	გადასასინჯია სასწავლო კურსის ,,სწავლების თანამედროვე მეთოდები“ ძირითადი ლიტერატურა, სადაც წარმოდგენილია მაგალითად ,,მოდულური პროფესიული პროგრამების გზამკვლევი“.
შეფასება	ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ სასწავლო კურსის

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	,,სწავლების თანამედროვე მეთოდები“ სილაბუსში გადამუშავდა სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი და დაკორექტირდა სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მეთოდები. ძირითად ლიტერატურაში მოცემეულია განახლებული მასალები, რაც ახალი ცოდნის მიღების საშუალებას იძლევა. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ შეფასებას (მაქს. 60 ქულა) და დასკვნით შეფასებას (მაქს. 40 ქულა).შუალედური შეფასება აერთიანებს შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობა (მაქს. 20 ქულა), თემის პრეზენტაცია (მაქს. 20 ქულა), სწავლების დეტალური გეგმის შედგენა და მისი პრეზენტაცია (20 ქულა). დასკვნითი შეფასება - საჩვენებელი ლექცია (40 ქულა). სილაბუსში აღნიშნული კომპონენტები არის დეტალურად ჩაშლილი. ასევე, მოცემულია სწავლის შედეგების და შეფასების მეთოდების ურთიერთკავშირის რუკა. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • სასწავლო კურსის ,,სწავლების თანამედროვე მეთოდები სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	1.საგანამანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია II[13]	რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში სახელწოდება, შინაარსი და სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან, სწავლების საფეხურთან და დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურა (მაგ. მეცნიერების მენეჯმენტი, აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები).
შეფასება	შესაფასებლად წარმოდგენილ ანგარიშს ახლავს გადამუშავებული სილაბუსები, მათ შორის რეკომენდაციაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები. სასწავლო კურსის ,,ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშვება და ანალიზი“ სახელწოდებაში ცვლილება შევიდა, რადგან სასწავლო თემატიკა ემსახურება SPSS პროგრამის გამოყენებას

[13] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ეკონომიკური კვლევის პროცესში. გადაისინჯა და განახლდა სავალდებულო ლიტერატურა. **შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ კურსის სახელწოდებაში შესული ცვლილებების მიუხედავად, სწავლის მიზნებსა და შედეგებში არ არის ხაზგასმა კონკრეტულად SPSS პროგრამის შესწავლის და გამოყენების შესაძლებლობებზე.** რაც შეეხება სასწავლო კურსს ,,აკადემიური წერა" - ბოლო თემის სახით წარმოდგენილ იქნა კვლევის შედეგების პრეზენტაციის და არგუმენტირებულად დაცვის და სამეცნიერო დისკუსიის წარმართვის საკითხები. ასევე, განახლდა ლიტერატურა, **თუმცა, მოდიფიცირებას საჭიროებს სწავლის შედეგი ,, პატივს ცემს დამოუკიდებლად მუშაობის სურვილს", რომელიც არ არის გაზომვადი.** სასწავლო კურსის ,,მეცნიერების მენეჯმენტი" კორექტირება განხორციელდა თემების, შედეგების მიღწევის შეფასების, სასწავლო კურსის მიზნის, შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისობის ასპექტებით. **რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია II[14]	რეკომენდირებულია დოქტორანტმა მინიმუმ ერთი სტატია გამოაქვეყნოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus და Web of Science) ინდექსირებულ ჟურნალში.
შეფასება	ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ განსაზღვრა რეცენზირებადი/რეფერირებადი სამეცნიერო გამოცემების ჩამონათვალი, სადაც დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს ერთი სამეცნიერო ნაშრომი (ოქმი N7; 17.07. 2021). ანგარიში და თანდართული ინფორმაციის შეფასებით დგინდება, რომ მოცემული ჩამონათვალი სტუდენტს აძლევს არჩევანის შესაძლებლობას და შეიძლება ისეთი არჩევანი

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	გააკეთოს და სტატია ისეთ ჟურნალში დაბეჭდოს, რომელიც იმპაქტ-ფაქტორიანი გამოცემა არ არის. **რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში; • ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი N7; 17.07.2021

სტანდარტის დასახელება	5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია II[15]	რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის სრულად/სრულფასოვნად უზრუნველსაყოფად.
შეფასება	ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით პროგრამის განვითარების პროცესში მუდმივად იქნება მხარდაჭერილი. ამასთან, ანგარიშში მითითებულია მტკიცებულების სახით ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ოქმი, რომელიც არ არის წარმოდგენილი თანდართულ დოკუმენტებში. რეკომენდაციის შესრულების შეფასება წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეუძლებელია, თუმცა პროგრამის აკრედიტაციის დასკვნაში მოცემული ინფორმაციიდან თუ ვიმსჯელებთ, უნივერსიტეტში შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების პრობლემატურობის საკითხი არ დამდგარა. ამასთან, პროგრამას მიღებული აქვს აკრედიტაცია. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• ანგარიში.

თანდართული დოკუმენტაცია[16]

ექსპერტის ხელმოწერა

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[16] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა